# არა ფობიას!

MDF-ისა და GDI-ის ყოველკვირეული ბიულეტენი

## კვირის მიმოხილვა

# 37, 1-7 დეკემბერი



1-7 დეკემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენცია გამოვლინდა:

- სიძულვილის ენა "ნაციონალური მოძრაობის" წევრების, აგრეთვე რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანების მიმართ იყო გამოხატული;
- თურქოფობიული განცხადებების წყარო სახალხო კრების, ხალხის პარტიის, პარლამენტის ყოფილი წევრები იყვნენ. ასეთი განწყობების ტირაჟირება კი კვლავ მედია-კავშირ "ობიექტივის" მეშვეობით ხდებოდა;
- ბავშვთა პროსტიტუციასთან ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელ დაკავშირებას მედია საშუალება ("კვირის პალიტრის" პორტალი) ახდენდა;
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წყარო ძირითადად რესპონდენტები იყვნენ;
- როგორც ჟურნალისტები (გაზეთები "ასავალ-დასავალი", "კვირის ქრონიკა"), ასევე რესპონდენტი (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება) პირთა სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელ მითითებას ნეგატიურ კონტექსტში ახდენდნენ;
- ჰომოფობიურ მიდგომებს როგორც რესპონდენტი (ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი), ასევე ჟურნალისტი (გაზეთი "ასავალ-დასავალი") ავლენდა;
- ანტიდასავლური განწყობები ლგბტ პირთა უფლებებს, ტერიტორიულ მთლიანობას, სოციალურ პრობლემებს და სხვა საკითხებს დაუსაბუთებლად უკავშირდებოდა.

## პეტიცია 2 დეკემბერი

### რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებზე არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციები პარლამენტისგან რეაგირებას მოითხოვენ

2 დეკემბერს, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციების ჯგუფმა საქართველოს პარლამენტს ბოლო ხანებში გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობისა და ძალადობისფაქტების შესწავლის მოთხოვნით პეტიციით მიმართა. ხელმომწერი ორგანიზაციები მოითხოვენ მთავრობის პოლიტიკაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას და საკანონმდებლო ორგანოს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე (მათ შორის, ქობულეთის, მოხეს, თერჯოლის შემთხვევებზე) დროულ რეაგირებასა და რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ სამართალდარღვევებზე მთავრობის არაეფექტური პოლიტიკის გადასინჯვას სთხოვენ.

გაგრძელება გვ. 7

## შინაარსი


| | |
|---|---|
| სიძულვილის ენა | 2 |
| თურქოფობია | 2 |
| ქსენოფობია | 3 |
| ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება | 3 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 3 |
| სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება | 4 |
| ჰომოფობია | 4 |
| ანტიდასავლური განწყობები | 5-6 |




ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და GDI და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## სიძულვილის ენა

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**ლალი ანთია, ყოფილი პატიმარი:** "როგორც ბაქრაძემ მოგვიწოდა ომის დროს, ზუსტად ისე უნდა გამოვიდეთ თოხებით, ბარებით, კოვზებით, ჩანგლებითა და ფიწლებით, რათა ესენი [ნაციონალები] ისე დავბეგვოთ, რომ დავაინვალიდოთ!.. გოგორიშვილმა, ამ მართლაცდა მოსიარულე ლეშმა, წმინდა მდინარე იორდანეში თევზები გაწყვიტა!"

### კვირის ქრონიკა, 1-7 დეკემბერი

**ოთარ კობერიძე, მსახიობი:** "იმას, ვინც დღეს რუსეთში მიდის, იქ უჩოქებს, თბილ სიტყვას ეუბნება და უმღერის... ერთხელ მაგისთანებზე ვთქვი, ჩამოსახრჩობები არიან მეთქი და გაზეთებში გამათახსირეს... ამიტომ ეგეთი ხალხი უნდა გაწკეპლო, ჩახადო ნიფხავი და გაწკეპლო, რამდენიმე ხანს რომ ვერ დაჯდეს."

## თურქოფობია



**ვალერი გელბახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი:** "ეს არის ძალიან საშიში პროცესი, რაც ეხლა იქ მიმდინარეობს... ის, რომ ჩვენ უსაფრთხოების ზომები გვაქვს მისაღები ამ მხრივ, ეს არის გარდაუვალი... 2004 წლიდან 2010 წლამდე თითქმის გათურქდა მთელი ბათუმი...150 ათასი კაცი რომ ერთ ქალაქში შემოგივა... სრულიად ექსპანსიაა."

### ობიექტივი, 1 დეკემბერი

**ვალერი გელბახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი:** „მაჩერებდა ხალხი, ქუჩაში მაჩერებდა და მეუბნებოდა, ხალხი არ ხართო, გვიშველეთ რამეო, ბათუმი გახდა თურქული ქალაქი...

ეს არის ძალიან საშიში პროცესი, რაც ეხლა იქ მიმდინარეობს... ის, რომ ჩვენ უსაფრთხოების ზომები გვაქვს მისაღები ამ მხრივ, ეს არის გარდაუვალი... 2004 წლიდან 2010 წლამდე თითქმის გათურქდა მთელი ბათუმი...150 ათასი კაცი რომ ერთ ქალაქში შემოგივა... სრულიად ექსპანსიაა."

http://www.myvideo.ge/?video_id=2462247

http://www.myvideo.ge/?video_id=2462274

### ობიექტივი, 1 დეკემბერი

**ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება:** „ეს აჭარა გამეტებული ჰყავთ უკვე. გამოვა ის 150 ათასი თურქი და ატყდება ერთი ამბავი. დაუდექი მერე შენ თურქეთის ჯარს. შემოვა, ელემენტარულად, წესრიგის დასამყარებლად... ყარსის ხელშეკრულება აკავებს კიდევ ამას.

**ვალერი გელბახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი:** "2018 წელს გასდის ვადა... 2018 წელს ყარსის ხელშეკრულება აღარ იქნება საჭირო, სულ თურქეთი იქნება."

http://www.myvideo.ge/?video_id=2462282

### ობიექტივი, 1 დეკემბერი

**მამუკა გიორგაძე, ხალხის პარტია:** „როცა არის ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებაზე საუბარი, აქ ერთ-ერთი ფაქტორი თურქეთის მხრიდან არის დასმული იმდენად შეურაცხმყოფელი საკითხი, რომ ალბათ თითოეულ ჩვენგანს თავი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჰყავს ჩაყენებული, რადგანაც მეჩეთი, რომელზედაც არის საუბარი, ბათუმში ახალ მეჩეთზე, ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ თურქეთიდან ჩამოსულ მოსახლეობას არ აქვს სურვილი, არ ყოფნის ადგილი - არა, არ აქვს სურვილი ქართველ მუსულმანებთან ერთად ილოცოს, რომ მას თავისი თავი უფრო მაღალ დონეზე მიაჩნია და ამათთან დისტანცირდება."

http://www.myvideo.ge/?video_id=2462280

### ალია, 3 დეკემბერი

სათაური: "რატომ შეგვიმცირა თურქეთმა მტკვრის დონე და რატომ ვერ ვითხოვთ ამის გამო მის დასჯას ?"

## ქსენოფობია

### საქინფორმი, 5 დეკემბერი

**ლადო სადღობელაშვილი, თავისუფალი თაობა:** "თუ ერთი ჩრდილოელი მტერი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას გვართმევს და პატივს არ სცემს ჩვენს სუვერენიტეტს, ეხლა მეორე, უკრაინის სახით, იმ მოსახლეობას უპირისპირდება, რომელმაც 2012-ში მოძალადე ხელისუფლებას უარი უთხრა!"
http://bit.ly/1yzJ9lM

## ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

### KVIRISPALITRA.GE, 2 დეკემბერი

ინტერვიუ, რომელიც ზოგადად ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემას შეეხება და მასში ერთ წყაროზე დაყრდნობით სხვადასხვა ფაქტებზეა საუბარი, დაუსაბუთებლად არის განზოგადებული ირანელებზე, რითაც საქართველოში ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემის ერთ ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირება და საეჭვო ვარაუდის დადგენილ ფაქტად წამოდგენა ხდება.

სათაური: "ირანელი, რომელიც, სავარაუდოდ, ბავშვთა პროსტიტუციას ეწეოდა, ირანის საკონსულომ საქართველოდან გააძევა".
http://www.kvirispalitra.ge/public/23492-iraneli-romelic-savaraudod-bavshvtha-prostitucias-etseoda-iranis-sakonsulom-saqarthvelodan-gaadzeva.html

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**ლადო სადღობელაშვილი, „თავისუფალი თაობა“:** "მირს საიკოვის ბიბლიოთეკა!"

### საქინფორმი, 1 დეკემბერი

სათაური: "ავაკიანმა საიკიანი „გააგზავნა“:..
http://bit.ly/1CoYCJd

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 დეკემბერი

**დავით თევდორაძე, მწერალი:** "სხვა დაფარულ საქმაიანობას ეწევიან [მუსლიმები], რაც გამოიხატება ე.წ. ბიზნესში, თორემ ახლა მოთხოვნა, რომ მრევლი ვერ ეტევა, ვთქვათ მეჩეთში... ბათუმთან ახლოს სოფლებია, სადაც 15 ტაძარია. მიბრძანდით და ილოცეთ, თუ ჭეშმარიტი მუსულმანი ხარ, ვინ არის ამის წინააღმდეგი?!.. მაგრამ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და ამაში, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავმა ორგანოებმა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ არ შემოვიდეს უცხოური კაპიტალი."
http://www.myvideo.ge/?video_id=2463574

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**გევორქ პეტროსიანი, „ნიჭიერის“ მონაწილე:** "ამ პროექტში მისვლით ძალები მოვიკრიბე, რომ შვილი გადავარჩინო, რომ სექტა(იეჰოვას მოწმეთა), რომელშიც მე ვიყავი მავნეა."

### პირველი, 5 დეკემბერი

**არჩილ კაიკაციშვილი, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი:** “სანამ საჯარო სკოლებში მართლმადიდებლობის სწავლება - არსწავლების საკითხი სკოლის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იქნება, ვერ შესრულდება კონსტიტუციური შეთანხმების მოთხოვნა, კვლავინდებურად დაირღვევა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, ვერ შეძლებენ საზოგადოების რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენლები მიიღონ კონფესიური რელიგიური განათლება, მაშასადამე კიდევ უფრო გამძაფრდება რელიგიური გაუთვითცნობიერებით გამოწვეული საფრთხეები, რომლის წინაშეც დღევანდელი საზოგადოება დგას.“

## სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** "დარწმუნებ-ული ვარ, ქალების გულთამპყრობელი, აწგანს-ვენებული დავით საყვარელიძე... ალბათ, ჭკუიდან გადავიდოდა და თოფით დაიწყებდა ქუჩაში სირბილს, ის განცხადება რომ წაეკითხა, რომელიც ფეისბუქის საშუალებით ტრანსგენდერმა გიორგი ჩხარტიშვილმა, ანუ იმავე „მაცაცომ“ მის შვილიშვილს, სააკაშვილის ნაცისტური სექტის ეფრეიტორს - ახალგაზრდა დავით საყვარ-ელიძეს გაუგზავნა...

ნათქვამია, დიდი ადამიანის შთამომავლებზე ბუნება ისვენებსო!"

### ობიექტივი, 1 დეკემბერი

**ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება:** „რა გვარია ის, პროკურორი რომ იყო ჩვენი, ელგებეტეს თავმჯდომარე, ეხლა რომ უნდოდათ პრემიერ-მინისტრად დანიშვნა, სირცხვილი არ არის საქართველოსთვის? ადეიშვილი... უნდა აირჩიონ, რა, ტყუილს ვამბობ?“
http://www.myvideo.ge/?video_id=2462300

### კვირის ქრონიკა, 1-7 დეკემბერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** "გა-ურკვეველი სქესის ჯაჯანიძე... ეს ადამიანი თავისი ვიზუალითაც და მეტყველებითაც უკვე ერთგვარი გარყვნილებაა...

ისე, ხალხი რომ მართლა იდგეს თავის სიმაღ-ლეზე, ჯაჯანიძისნაირი ბაქტერიები ტელევი-ზორში კი არა, ქუჩაში ვერ გაბედავდნენ გამო-ჩენას."

## ჰომოფობია

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** "აბსოლიტურად ვეთანხმები რუსეთის პრეზიდენტს, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა ქვეყანაში პედერასტიის პროპაგანდა!

მე არ მომწონს და ვერასოდეს მოვიწონებ პედერასტებისა და ლესბოსელების გაუკუღმართებული ცხოვრების წესს, მაგრამ როგორც ნორმალური ადამიანი, ვეგუები მათ არსებობას...

იმოქმედეთ, გადედლებულო მამაკაცებო და კაცად ქცეულო ქალებო, ოღონდ, რეკლამისა და პროპაგანდის გარეშე!”

### ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** "თუ თქვენ ლგბტ იდეოლოგიას ნორმად აღიქვამთ და კაცის კაცზე (ან ქალის ქალზე) დაქორწინებას ლოიალურად უყურებთ, ეს პირდაპირ, ნაცმოძრაობის მხარდაჭერას ნიშნავს!"

## ანტიდასავლური განწყობები

**ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** "ეს ევროპელობა კი არა, ბოდიში და, პედერასტიაა!..

დღეს, ევროპის სახე ვოლტერი და თეოდორ დრაიზერი კი არა, ტრანსგენდერი კონჩიტაა!.. ჩემთვის ნამდვილი ევროპა ის ფრანგები არიან, რომელთათვისაც მიუღებელია პედერასტიის ზეიმი!

მეტიჩარა ლიბერასტმა ქართველებმა მიიჩნიეს, რომ ევროპისკენ გზა ანალურ არხზე გადის და სწორედ ამ „ფასეულობებს" უწევენ პროპაგანდას!..

ჰოდა, აი, ეს აბსურდული ფრაზა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!" თანამედროვე ქართულ რეალობაშიასე გარდაიქმნა: „მე ვარ პედერასტი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!"..

ახლო აღმოსავლეთში იქმნება „ისლამური სახელმწიფო", რომლის მესვეურებიც პირდაპირ აცხადებენ, ჩვენ სამყარო უნდა გადავარჩინოთო გარყვნილი და გაპედერასტებული დასავლეთის გამო!"

**ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი**

**ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევის ცენტრი:** "ჰუმანიზმი მოიკითხოს ნორლანდმა შეერთებულ შტატებში... მოიკითხოს ის, თუ რატომ დაუშვა ბუშმა ტერორისტი პატიმრის წამება, მაშინ, როცა ყველა საერთაშორისო კანონი კრძალავს წამებას!.. საქართველო არ არის რეზერვაცია მათი პატიმრების ჩამოსაყვანად".

**ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი**

**ლევან მამალაძე, ყოფილი რწმუნებული:** "პირდაპირ უნდა ითქვას, თავად ამერიკასაც არ აწყობს სააკაშვილის ძებნილად გამოცხადება. სამაჩაბლოს საკითხით დაწყებული იარაღის თემით დამთავრებული ყველგან მათი ინტერესი იკვეთება."

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 დეკემბერი**

**ირაკლი უბილავა, „პოლიტოლოგთა კლუბი":** "ერის/სახელმწიფოს ჩაკვლა საერთაშორისო სისტემაში, ამის განხორციელება უნდათ... ზუსტად ამის გამოხატულებაა ჩვენი ეს დესანტი, რომ გადაისროლეს, ქართველი დიდი რეფორმატორების დესანტი კიევში, უკრაინაში... ერთი ცენტრია მართვის - ეს არის ვაშინგტონი, აქედან იმართებიან ესენი"...
http://www.myvideo.ge/?video_id=2465867

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 დეკემბერი**

**აკაკი ჯორჯაძე, მწერალი, პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი":** "ამ დემოკრატიაშია შემალული ის ურჩხული ასე ვთქვათ, რომლითაც ხდება ამ ხალხების გაბითურებაც, გაზრიყვებაც და დამონებაც და არ ვიცი სიკვდილიც...

ვითომც შენი მოსიყვარულეა, ვითომც შენი გულისთვის ღამე არ ძინავს, სინამდვილეში მისი ფიქრი და აზრი იმაშია, რომ შენ გაგანადგუროს...რო შედის იქ სადღაც სალოცავად, ამბობს ამ გოებს უნდა ამოვგლიჯოთ გული და მოვკლათ საუკეთესო ქრისტიანი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2465962

გაგრძელება გვ. 6



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** "ეს ევროპელობა კი არა, ბოდიში და, პედერასტიაა!..

ჰოდა, აი, ეს აბსურდული ფრაზა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!" თანამედროვე ქართულ რეალობაშიასე გარდაიქმნა: „მე ვარ პედერასტი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!"..

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

### ალია, 4 დეკემბერი

**არქიმანდრიტი ანთიმოზი:** „ამერიკა-ევროპამ, გაუბედურებული 60 მილიონიანი თურქეთი 5 წელიწადში ფეხზე დააყენა, ქართველები კი ან არ ვუნდივართ ან მშიერი ვუნდივართ".

### კვირის ქრონიკა, 1-7 დეკემბერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** "სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებულმა ამერიკამ წყლისა და პამპერსების მეტი ვერაფერი გაიმეტა ჩვენს დასახმარებლად [2008 წლის ომის დროს]... დიახ, საქართველოს არ სჭირდება არანაირი ევროპა, ამერიკა და მათი ბლოკები თუ ალიანსები."

### GEWORLD.GE, 5 დეკემბერი

**ზურაბ ცუცქირიძე, ავტორი:** "იმ სახლში, ევროკავშირი რომ ჰქვია, ვინ გიშვებს?! და თუ შეგიშვეს, რაც კი რამ ზნეობრივი გვაქვს, გარეთ უნდა დავტოვოთ. ვის უნდა იმ "სახლში" შესვლა, სადაც ზარ-ზეიმით ხვდებიან კაცზე კაცის დაქორწინებას, სადაც და-ძმასა და დედა-შვილს შორის სქესობრივი კავშირი (ღმერთო დაგვიფარე!) ნორმალურად ითვლება?!

ვის და გონებრივად, ფიზიკურად და სულიერად ცვედანს! "
http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6357&lang=ge

### GEWORLD.GE, 4 დეკემბერი

„ვერ იგუა აღმოსავლეთმა [აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები] დასავლეთში მიღებული სტანდარტები და ნორმები, მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინება და სხვა უკუღმართობანი მსგავსი ამისა."
http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6355&lang=ge

### GEWORLD.GE, 3 დეკემბერი

**ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი:** „უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს. სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია...

აშშ-ის გავლენის შედეგები "ნაციონალური მოძრაობის" 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ვიწვნიეთ - დანგრეული განათლება, მეცნიერება, კულტურა, ქუჩაში დახვრეტილი ათეულობით ახალგაზრდა, უამრავი ადამიანისთვის წართმეული ქონება, ქვეყნისთვის აკიდებული მილიარდობით საგარეო ვალი, რომე-ლიც მომავალი თაობების გასასტუმრებელია... რუსეთთან დაპირისპირება კი ტერიტორიების დაკარგვად დაგვიჯდა."
http://bit.ly/1xddefz

### GEWORLD.GE, 5 დეკემბერი

**პეტრე მამრაძე, კანცელარიის ყოფილი უფროსი:** „ღმერთმა ნუ ქნას, მაპი მივიღოთ!.. თუ გვინდა, ის ტერიტორიაც ჩავაბაროთ, რომელიც დაგვრჩა, და ბანანის რესპუბლიკა გავხდეთ, ბანანის გარეშე, მაშინ გააკეთონ ის, რასაც აკეთებენ."
http://bit.ly/1ItQpaS

### საქინფორმი, 1 დეკემბერი

**არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** "ცუდია, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის ეს [წარმატება ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე] ნიშნავს ფასების ტოტალურ ზრდას, სიცივეს, შიმშილსა და ელექტროენერგიის გახშირებულ გათიშვას."
http://bit.ly/1ukPS1t

# პეტიცია

დასაწყისი გვ. 1

როგორც პეტიციაშია აღნიშნული, ხელისუფლება არაადეკვატურად პასუხობს ბოლო პერიოდში რელიგიური ექსტრემიზმის განსაკუთრებით მზარდ გამოვლინებებს და არ უზრუნველყოფს კერძო პირებისგან მომდინარეძალადობის პრევენციასა და ეფექტურ გამოძიებას. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა დისკრიმინაციულია, რადგან ის, როგორც წესი, თავს იკავებს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგანიმ შემთხვევებში, როდესაც რელიგიურ ძალადობას ან დევნას ახორციელებენ ადამიანები, რომლებიც თავს მართლმადიდებლურ მრევლს მიაკუთვნებენ. ამავდროულად, ხელისუფლების მეთოდები რეპრესიულია რელიგიური უმცირესობების მიმართ, რასაც სოფელ ჭელასა და სოფელ მოხეში ჩატარებული საპოლიციო ოპერაციები ადასტურებს. პეტიციაში ასევე მითითებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მუსლიმი თემის წევრების უკანონო დაკავებისა და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიების პროცესში, უხეშად ირღვევა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპი, რადგან აღნიშნული საქმეების გამოძიებას აწარმოებს თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო, და არა პროკურატურა.

ხელმომწერი ორგანიზაციები კრიტიკულად აფასებენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოლიტიკას აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით და მიაჩნიათ, რომ სააგენტოს მონაწილეობას მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაში ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია.

ორგანიზაციები პარლამენტს, რეგლამენტით დადგენილი წესით, პეტიციის საჯარო და წარმომადგენლობით განხილვასა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, შესაბამისი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგებლების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას სთხოვენ.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC);

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა(GDI);

მედიის განვითარების ფონდი(MDF);

ტოლერანტობისა დამრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI);

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთაასოციაცია (GYLA);

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია;

სახარების რწმენის ეკლესია;

ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;

იეზიდთა სასულიერო საბჭო;

კათოლიკე ეკლესია;

ქართველ მუსლიმთა კავშირი;

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია;

სამცხე-ჯავახეთის მუფტი;

ქართლის რეგიონის მუფტი;

ხულოს მუფტი;

სომხეთის სამოციქულო მართლმადიდებელიეკლესია.

MDF
GDI

www.mdfgeorgia.ge ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com
www.gdi.ge დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge